სტრუქტურით გათვალისწინებული პერსონალის

საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციური მოვალეობები, პასუხისმგებლობა და თანამდებობრივი ინსტრუქციები.

1. აღმასრულებელი დირექტორი

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს სკოლის სტრატეგიული და ოპერაციული მართვა, საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესება და რესურსების ოპტიმალური გამოყენება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება (სასურველია მენეჯმენტი, განათლების ადმინისტრირება ან შესაბამისი სფერო);
- მინიმუმ 1-წლიანი მენეჯერული გამოცდილება განათლების სფეროში;
- განათლების კანონმდებლობის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების ცოდნა;
- სტრატეგიული დაგეგმვის, მოლაპარაკების და ლიდერული უნარები;
- ინგლისური ენის სასაუბრო დონეზე ცოდნა.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადება და განხორციელება;
- ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა;
- საგანმანათლებლო პროგრამების და ეროვნული სასწავლო გეგმის ეფექტიანი დანერგვის უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალის მუშაობის კოორდინაცია;
- ავტორიზაციის, აკრედიტაციის და სხვა სავალდებულო პროცესების მართვა;
- პარტნიორებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან და მშობლებთან ურთიერთობის წარმართვა.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია სკოლის მფლობელის/დამფუძნებლის წინაშე;
- პასუხისმგებელია სასკოლო პოლიტიკის, ფინანსური დისციპლინის და საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვაზე

2. ფინანსური მენეჯერი

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს სკოლის ფინანსური მდგრადობა და ბიუჯეტის ეფექტიანი მართვა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ფინანსებში, ეკონომიკაში ან ბუღალტერიაში;
- მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება ფინანსურ მენეჯმენტში;

- ბუღალტრული და საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნა;
- ფინანსური ანალიზის და ბიუჯეტირების უნარი.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- სკოლის ბიუჯეტის შედგენა და შესრულების მონიტორინგი;
- ფინანსური ანგარიშგებების მომზადება;
- ხარჯებისა და შემოსავლების ოპტიმიზაცია;
- ფინანსური რისკების შეფასება და მართვა;
- საგადასახადო ვალდებულებების დროული შესრულება.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ დირექტორთან;
- პასუხისმგებელია ფინანსური დისციპლინისა და გამჭვირვალობის დაცვაზე.

3.

ბუღალტერი

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს სკოლის ბუღალტრული აღრიცხვის სიზუსტე და შესაბამისობა კანონმდებლობასთან.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ბუღალტერიაში ან ფინანსებში;
- მინიმუმ 1- წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- ბუღალტრული პროგრამების ცოდნა.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- ბუღალტრული ოპერაციების ყოველდღიური აღრიცხვა;
- ხელფასების, გადასახადების და სხვა ფინანსური ვალდებულებების გამოთვლა და დარიცხვა;
- საბუთების არქივირება და ანგარიშგებების მომზადება.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია ფინანსურ მენეჯერთან;
- პასუხისმგებელია ბუღალტრული მონაცემების სიზუსტეზე

4.

ექთანი

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა პირველადი სამედიცინო დახმარება, ჯანმრთელობის მონიტორინგი და ჰიგიენური სტანდარტების დაცვა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- პროფესიული ან უმაღლესი სამედიცინო განათლება;
- მოქმედი სერტიფიკატი ექთნის საქმიანობაზე;

- მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება სამედიცინო დაწესებულებაში ან საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- პირველადი დახმარების გაწევის პრაქტიკული უნარები.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა მოულოდნელი შემთხვევებისას;
- სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის კონტროლი;
- სამედიცინო ინვენტარის და მედიკამენტების დროული შევსება;
- მოსწავლეთა ჯანმრთელობის ჩანაწერების წარმოება და განახლება;
- დაავადებების პრევენციის ღონისძიებების ორგანიზება.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია სკოლის ექიმთან და ადმინისტრაციასთან;
- პასუხისმგებელია სამედიცინო უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე.

5. *ექიმი*

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს მოსწავლეთა და თანამშრომელთა ჯანმრთელობის მონიტორინგი, პრევენციული ღონისძიებები და სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი სამედიცინო განათლება;
- მოქმედი ლიცენზია;
- მინიმუმ 3-წლიანი სამედიცინო პრაქტიკის გამოცდილება;
- ბავშვთა მედიცინის ცოდნა (სასურველია);
- კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა სკოლის ექიმის პოზიციაზე სამუშაოდ

თანამდებობრივი მოვალეობები:

- ვაქცინაციისა და პროფილაქტიკური გამოკვლევების ორგანიზება;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევა;
- ჯანმრთელობის თემაზე საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ დირექტორთან;
- პასუხისმგებელია სამედიცინო მომსახურების ხარისხზე.

6.

დასუფთავების სამსახური

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს სკოლის შენობისა და ტერიტორიის სისუფთავე და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- მინიმუმ საშუალო განათლება;
- მსგავს პოზიციაზე გამოცდილება სასურველია;
- სანიტარიული ნორმების ცოდნა.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- საკლასო ოთახების, დერეფნების, სველი წერტილებისა და საერთო სივრცეების დასუფთავება;
- სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;
- დასუფთავების ინვენტარის მოვლა და შევსება;
- ნაგვის დროული გატანა.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია ტექნიკურ მენეჯერთან;
- პასუხისმგებელია შენობის სისუფთავეზე და უსაფრთხო ჰიგიენურ გარემოზე.

7. ***დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის მენეჯერები***

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს შესაბამის საფეხურზე სასწავლო პროცესის კოორდინაცია, მასწავლებელთა მხარდაჭერა და სასწავლო გეგმების შესრულება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება პედაგოგიკაში ან განათლების მენეჯმენტში;
- მინიმუმ 1-წლიანი პედაგოგიური გამოცდილება;
- სასწავლო პროცესის მართვის უნარები.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- საფეხურის მასწავლებელთა მუშაობის მონიტორინგი და მხარდაჭერა;
- უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაში მონაწილეობა (სქესის შესაბამისად);
- სასწავლო გეგმების შესრულების უზრუნველყოფა;
- სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- მოსწავლეთა პროგრესის ანალიზი და ანგარიშგება.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ დირექტორთან;

- პასუხისმგებელია საფეხურის სასწავლო პროცესის ხარისხზე.

8. ტექნიკური მენეჯერი

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს სკოლის შენობების, კომუნიკაციების, საინჟინრო სისტემებისა და ტექნიკური ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ტექნიკური ან საინჟინრო უმაღლესი ან პროფესიული განათლება;
- მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება შენობების ტექნიკურ მართვაში;
- ელექტრო, წყალმომარაგების, გათბობა-გაგრილების და უსაფრთხოების სისტემების მუშაობის ცოდნა;
- ტექნიკური დოკუმენტაციის წაკითხვის და მომზადების უნარი.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- სკოლის ტექნიკური ინფრასტრუქტურის მონიტორინგი და პრევენციული მომსახურების ორგანიზება;
- ტექნიკური ხარვეზების დროული გამოვლენა და აღმოფხვრის უზრუნველყოფა;
- რემონტისა და მოვლის სამუშაოების დაგეგმვა და ზედამხედველობა;
- უსაფრთხოების ნორმების და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა;
- მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაში მონაწილეობა (სქესის შესაბამისად);
- გარანტიებისა და კონტრაქტების მართვა ტექნიკურ მომწოდებლებთან.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ დირექტორთან;
- პასუხისმგებელია სკოლის ტექნიკური უსაფრთხოებისა და გამართულ მუშაობაზე.

9. ადმინისტრაციის მენეჯერი

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს სკოლის ადმინისტრაციული პროცესების ეფექტური მართვა და საოფისე დოკუმენტაციის მოწესრიგება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება (სასურველია მენეჯმენტი ან ადმინისტრირება);
- საოფისე პროგრამების (MS Office) და ელექტრონული კომუნიკაციის ცოდნა;

- მინიმუმ 1-წლიანი ადმინისტრაციული მუშაობის გამოცდილება.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის კოორდინაცია;
- დოკუმენტბრუნვის ორგანიზება;
- შეხვედრების და ღონისძიებების დაგეგმვა და ლოგისტიკა;
- კომუნიკაცია სასკოლო პერსონალსა და მშობლებთან;
- ადმინისტრაციული რესურსების ოპტიმალური გამოყენება.
- პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა კანონის შესაბამისი მოთხოვნით

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ დირექტორთან;
- პასუხისმგებელია ადმინისტრაციული პროცესების უწყვეტობაზე

10. ადმინისტრაციის მენეჯერის თანაშემწე

თანამდებობის მიზანი:

მოემსახუროს ადმინისტრაციის მენეჯერს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში და უზრუნველყოფს საოფისე პროცესების გამართულობას.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- საშუალო ან უმაღლესი განათლება;
- საოფისე პროგრამების ცოდნა;
- ორგანიზებულობა და დეტალებზე ორიენტირებულობა.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- კორესპონდენციის მიღება და გადაცემა;
- დოკუმენტების გაფორმება და არქივირება;
- ადმინისტრაციული დავალებების შესრულება;
- შეხვედრებისა და ვიზიტების კოორდინაცია.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის მენეჯერთან;
- პასუხისმგებელია დავალებების დროულად შესრულებაზე.

10.

თანამდებობის მიზანი:

დაგეგმოს, განახორციელოს და მონიტორინგი გაუწიოს საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მოიძიოს დაფინანსების წყაროები. კარიერული მრჩეველი ეხმარება მოსწავლეებს სკოლის დამამთავრებელ საფეხურებზე სხვადასხვა პროფესიის გაცნობაში და უწევს მენტორობას, სწორად დაგეგმონ აკადემიური გზა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება (სასურველია მენეჯმენტი ან შესაბამისი სფერო);
- მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება პროექტების მართვაში;
- პროექტების დაგეგმვის, ბიუჯეტირების და ანგარიშგების უნარი;
- გრანტებისა და საგანმანათლებლო ინიციატივების მართვის გამოცდილება.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- პროექტების დაგეგმვა, ბიუჯეტის შედგენა და განხორციელება;
- დაფინანსების წყაროების მოძიება და განაცხადების მომზადება;
- პროექტების მონიტორინგი და ანგარიშგება;
- თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან და დონორებთან.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ დირექტორთან;
- პასუხისმგებელია პროექტების შედეგებზე და ვადებზე.

11. კომუნიკაციის მენეჯერი

თანამდებობის მიზანი:

დირექტორთან შეთანხმებით, შეიმუშაოს და განახორციელოს სკოლის შიდა და გარე კომუნიკაციის პოლიტიკა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება, ბაკალავრის ხარისხი.
- კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word; Microsoft Office PowerPoint) სრულყოფილი ცოდნა.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- შემუშავებული სტრატეგიის შესაბამისად დაგეგმოს, განახორციელოს და მონიტორინგი გაუწიოს სხვადასხვა აქტივობებს;
- განახორციელოს კომუნიკაცია სკოლით დაინტერესებულ მშობლებთან, გააცნოს მათ

სკოლის შესახებ ინფორმაცია;

- კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზება გაუწიოს სკოლაში მოსწავლეთა მიღების პროცესს, ღია კარის დღის ჩატარებას;
- მართოს სკოლის სოციალური მედია;
- სკოლის პოპულარიზაციის მიზნით, ორგანიზება/კოორდინირება გაუწიოს სკოლასა და სხვა ორგანიზაციებს შორის ურთიერთობებს;
- უზრუნველყოს სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების და ღონისძიებების ფოტო-გადაღება და შესაბამისი ინფორმაციის განთავსება სკოლის სოციალურ ქსელში.
- უზრუნველყოს მასმედიასთან კომუნიკაცია;
- დაგეგმოს სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ დირექტორთან.

12. ბიბლიოთეკარი

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს ბიბლიოთეკის რესურსების მართვა, განახლება და მოსწავლეთა/მასწავლებელთა ხელმისაწვდომობა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ბიბლიოთეკათმცოდნეობის ან განათლების სფეროში განათლება;
- კატალოგიზაციისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემების ცოდნა;
- კომუნიკაციის და კითხვის პოპულარიზაციის უნარი.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- ბიბლიოთეკის ფონდის ინვენტარიზაცია და განახლება;
- წიგნების კატალოგის წარმოება;
- სასწავლო რესურსების მოძიება და მასწავლებლების მხარდაჭერა;
- კითხვის პოპულარიზაციის ღონისძიებების ორგანიზება.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელთან;
- პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის რესურსების გამართულ ფუნქციონირებაზე.

13. აუ

ზის მენეჯერი

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს სკოლის აუზის უსაფრთხო, სანიტარიულ-ჰიგიენური სტანდარტების შესაბამისი და ეფექტიანი ფუნქციონირება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი ან პროფესიული განათლება სპორტის მენეჯმენტში, ფიზკულტურაში ან ადმინისტრირებაში;
- მინიმუმ 1- წლიანი გამოცდილება აუზის ან სპორტული ობიექტის მართვაში;
- წყალთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესების და ჰიგიენური სტანდარტების ცოდნა;
- ლიდერული და საორგანიზაციო უნარები.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- აუზის მუშაობის სრული ორგანიზება და კოორდინაცია;
- პერსონალის (ინსტრუქტორები, რეგისტრატორები, ტექნიკური პერსონალი) მართვა;
- წყლის ხარისხისა და სანიტარიული ნორმების კონტროლი;
- უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელება;
- აუზის ბიუჯეტის და რესურსების მართვა;
- ღონისძიებებისა და სპორტული აქტივობების დაგეგმვა.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ დირექტორთან;
- პასუხისმგებელია აუზის უსაფრთხო და ეფექტიან მუშაობაზე.

14. აუზის რეგისტრატორი

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს აუზის მომხმარებელთა მიღება, რეგისტრაცია და ინფორმირება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- საშუალო ან უმაღლესი განათლება;
- მომხმარებელთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

- საოფისე პროგრამების და საბაზისო ფინანსური აღრიცხვის ცოდნა.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- ვიზიტორთა რეგისტრაცია და მონაცემთა ბაზის განახლება;
- აბონენტების და ერთჯერადი ვიზიტების აღრიცხვა;
- მომხმარებელთა ინფორმირება სერვისების და წესების შესახებ;

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია აუზის მენეჯერთან;
- პასუხისმგებელია მონაცემების სიზუსტეზე და მომხმარებელთა კმაყოფილებაზე.

15.

ცურვის მასწავლებელი

თანამდებობის მიზანი:

მოსწავლეებსა და აუზის ვიზიტორებს ასწავლოს ცურვის ტექნიკა, ხელი შეუწყოს ფიზიკურ განვითარებას და წყლის უსაფრთხოების ცოდნას.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი ან პროფესიული განათლება ფიზკულტურაში, სპორტში ან პედაგოგიკაში;
- ცურვის ინსტრუქტორის სერტიფიკატი;
- გამოცდილება ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობაში.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- ცურვის გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება სხვადასხვა დონეზე;
- მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება;
- უსაფრთხოების წესების და ტექნიკის სწავლება;
- სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია აუზის მენეჯერთან;
- პასუხისმგებელია სწავლების ხარისხზე და უსაფრთხოების დაცვაზე.

16.

ქლორისტი

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს აუზის წყლის ხარისხის და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა ქიმიური დამუშავების მეშვეობით.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ტექნიკური ან ქიმიური განათლება (სასურველია);
- ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების ცოდნა;
- მსგავს სფეროში მუშაობის გამოცდილება.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- წყლის ქიმიური შემადგენლობის ტესტირება;
- ქლორის და სხვა საჭირო ქიმიკატების დოზირების კონტროლი;
- ფილტრაციის სისტემების მუშაობის მონიტორინგი;
- უსაფრთხოების წესების დაცვა ქიმიკატებთან მუშაობისას.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია აუზის მენეჯერთან;
- პასუხისმგებელია წყლის სანიტარიულ ნორმებზე.

17. აუზის დამხმარე პერსონალი

თანამდებობის მიზანი:

მოემსახუროს აუზის ყოველდღიურ ფუნქციონირებას, უზრუნველყოს ტერიტორიისა და ინვენტარის მოწესრიგება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- საშუალო განათლება;
- ფიზიკური გამძლეობა და პასუხისმგებლობა;
- გუნდში მუშაობის უნარი.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- აუზის ტერიტორიის დასუფთავება და მოვლა;
- ინვენტარის მომზადება და მოწესრიგება გაკვეთილებისა და ღონისძიებებისთვის;
- მასწავლებლების და ინსტრუქტორების მხარდაჭერა.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია აუზის მენეჯერთან;
- პასუხისმგებელია სამუშაო ადგილის სისუფთავეზე და წესრიგზე.

18. სპეციალური მასწავლებელი

თანამდებობის მიზანი:

უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა და სოციალური ინტეგრაცია.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება სპეციალურ პედაგოგიკაში ან ინკლუზიურ განათლებაში;
- ინკლუზიური სწავლების პრაქტიკული გამოცდილება;
- ფსიქოლოგიის საბაზისო ცოდნა.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა;
- ადაპტირებული სასწავლო რესურსების გამოყენება;
- მშობლებთან და ფსიქოლოგებთან თანამშრომლობა;
- პროგრესის მონიტორინგი და ანგარიშგება.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია საფეხურის მენეჯერთან;
- პასუხისმგებელია სსსმ მოსწავლის აკადემიურ და სოციალურ წინსვლაზე.

19. სკოლის ფსიქოლოგი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ფსიქოლოგიაში (ბაკალავრი ან მაგისტრი);
- სერთიფიკატები სკოლის ფსიქოლოგიის ან ბავშვთა განვითარების მიმართულებით უპირატესობაა.
- პროფესიული გამოცდილება მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება სკოლაში ან ბავშვთა ფსიქოლოგიურ მომსახურებაში;
- გამოცდილება ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების ჩატარებაში;
- სასურველია გამოცდილება კოორდინაციაში მასწავლებლებთან და მშობლებთან.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- ბავშვთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და განვითარებისთვის საჭირო უნარები;
- კონფიდენციალურობისა და ეთიკური სტანდარტების მკაცრი დაცვა;
- კომუნიკაციური და ემპათიური უნარები;

- პრობლემების გადაჭრის, კონფლიქტების მართვისა და სტრესის შემცირების მეთოდები;
- ჯგუფური სამუშაო და ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის უნარი.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია საფეხურის მენეჯერთან;
- პასუხისმგებელია სსსმ მოსწავლის აკადემიურ და სოციალურ წინსვლაზე.

20.

ტუტორი

თანამდებობის მიზანი:

მოსწავლეს გაუწიოს დამატებითი აკადემიური მხარდაჭერა, დაეხმაროს დავალებების შესრულებასა და ცოდნის გაღრმავებაში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- საშუალო ან უმაღლესი განათლება;
- მინიმუმ 1- წლიანი გამოცდილება რეპეტიტორად ან მასწავლებლად;
- თანამედროვე სწავლების მეთოდების ცოდნა.

თანამდებობრივი მოვალეობები:

- სასწავლო მასალის განმტკიცება და განმეორება;
- ცოდნის შეფასება და პროგრესის აღრიცხვა;
- მშობლებთან და სკოლის პედაგოგებთან კონსულტაცია.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელთან;
- პასუხისმგებელია აკადემიური მხარდაჭერის ხარისხზე.